საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომის

ოქმი № 3

05 ივნისი 2019 წ.

ქ. ზუგდიდი

რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საბჭოს 29 წევრიდან 24 წევრი. სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ალექსანდრე მოწერელია - სახელმწიფო რწმუნებული.
2. ირაკლი პერტენავა - აბაშის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მერის მ/შ.
3. გელა ხოშტარია - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
4. მაიზერ ნანავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მ/შ.
5. მამუკა წოწერია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
6. ბესიკ ჭეჟია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
7. თაზო ფაცაცია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
8. ალექსანდრე გრიგალავა - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი.
9. ალექსი გაბისონია - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
10. ალექსანდრე ახვლედიანი - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
11. კაპიტონ ჟორჟოლიანი - მესტიის მუნიციპალიტეტის მერი.
12. მაიზერ ჯაფარიძე - მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
13. ლევან კუპრეიშვილი - სენაკის მუნიციპალიტეტის მერი.
14. ბადრი კალანდარიშვილი - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
15. ბესიკ ესებუა - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
16. კობა ჯიქია - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
17. ბესიკ ფარცვანია - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი.
18. თემურ ღვინჯილია - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
19. დარეჯან დადიანი - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
20. ვარაზ გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მერის მ/შ.
21. ედიშერ ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
22. მამუკა ქარდავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
23. კოსტანტინე თოფურია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მერის მ/შ.
24. ირაკლი კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომის მუშაობას ესწრებოდნენ:

1. **ნუგზარ გაბელია** - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი.
2. **მარიამ აბულაძე** - სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სხდომის მდივანი).
3. **იასონ შეროზია** - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსის მოადგილე.
4. **აკაკი სარალიძე** - სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსის მოადგილე.
5. **ირაკლი ცანავა** - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სახელმწიფო რწმუნებულმა სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი:

1. 2014 – 2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში ცვლილებების შეტანის მიზნით კორექტირებული 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმის განხილვისა და მოწონების თაობაზე.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის ინფორმაცია, რომელმაც განმარტა, რომ რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ მომზადებულ იქნა 2014-2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში ცვლილების შეტანის მიზნით კორექტირებული 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმის (2019 წლის) პროექტი, რომელსაც განსახილველად წარმოგვიდგენს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი ნუგზარ გაბელია.

იასონ შეროზიამ აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელება ძირითადად გამოწვეულია მუნიციპალიტეტების მუშაობის პროცესში გამოვლენილი ახალი პრიორიტეტული მიმართულებებით და ასევე ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის №50 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა

განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ პროექტ(ებ)ი ასახულია სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მიერ მოწონებულ, 2014 – 2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმაში, რამაც გამოიწვია დამტკიცებულ სტრატეგიაში (სამოქმედო გეგმა 2018-2021 წლებისთვის) დამატებით ახალი პროექტების ასახვა და არსებული პროექტების კორექტირება.

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების საჭიროებებიდან გამომდინარე ნუგზარ გაბელიამ საკონსულტაციო საბჭოს წარუდგინა დარგობრივი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განახლებული სამოქმედო გეგმის პროექტის ერთიანი ცხრილი (დანართი № 1).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს განიხილონ წარმოდგენილი პროექტი/წინადადებები და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მიერ განხილულ იქნა პროექტი/წინადადება და შენიშვნები არ გამოთქმულა.

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს 2014-2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმა (თან ერთვის ელ.ვერსია CD დისკი სახით).
2. 2014-2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმა განსახილველად წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შედეგად სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე /ა. მოწერელია/

სხდომის მდივანი /მ. აბულაძე/